



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“ Undergraduate Educational program „Medicine”
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი Medical Doctor (MD)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	<p>პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 აკადემიურ წელს, ანუ 12 სემესტრს დამოიცავს 360 კრედიტს;</p> <p>აკადემიური წელი მოიცავს 40 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (20კვირა) და გაზაფხულის (20კვირა). სემესტრებს შორის არდადეგებია. თითოეულ სემესტრში 19 კვირა სასწავლო. სემესტრის მანძილზე ცხრილი არის ძირითადად „კურაციული“. თითოეული საგნის დამთავრების შემდეგ ინიშნება ამ საგნის დასკვნითი გამოცდა. თითოეული სემესტრის მე-20 კვირას ტარდება განმეორებითი გამოცდები.</p> <p>სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობაა 30, ხოლო წელიწადში 60 კრედიტი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.</p> <p>საკონტაქტო საათები გულისხმობს: პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლებას/სწავლას, ლექციებს, სამუშაო ჯგუფებში სემინარულ, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სწავლებას/მუშაობას, აგრეთვე მუშაობას ზედამხედველობის ქვეშ.</p> <p>დამოუკიდებელი მუშაობა მოიცავს სასწავლო მასალის ათვისებას, პრეზენტაციების მომზადებას, ლიტერატურის გაცნობას/მიმოხილვას, შესაბამის კლინიკურ გარემოში სხვადასხვა ნებადართულ აქტივობას, გამოცდებისთვის მომზადებას და საექტაპო გამოცდების ჩაბარებს.</p>



	<p>1 ECTS შეადგენს 25 საათს, აქედან საკონტაქტო საათები მერყეობს 12 და 15 საათამდე საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. ბაზისურ (თეორიულ) საგნებში 12 სთ არის საკონტაქტო და 13 სთ დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ხოლო კლინიკურ საგნები 10 სთ საკონტაქტო, 5 სთ-ზედამხედველობის ქვეშ მუშაობა და 10 სთ დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ზედამხედველობის ქვეშ მუშაობა მიეკუთვნება საკონტაქტო საათებს და გულისხმობს პრაქტიკულ მუშაობას, კლინიკურ საქმიანობაში მონაწილეობას ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ და ღამის მორიგეობებს. სტუდენტის აქტივობა რეგულირდება, პედაგოგთან შეთანხმებული, წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით.</p> <p>I. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები - 332კრედიტი</p> <p>II. არჩევითი სასწავლო კურსები - 28კრედიტი</p>
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	<p>დიმიტრი კორძაია- მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მედიცინის ფაკულტეტის დეკანი</p> <p>მაია ბიჭვინაშვილი - მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე</p>
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.</p> <p>მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი), და რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საგნები:</p> <p>ა) ქართული ენა და ლიტერატურა(კომპეტენციის ზღვარი - არანაკლებ შეფასების 50%-ისა)</p> <p>ბ) ბიოლოგია;(კომპეტენციის ზღვარი - არანაკლებ შეფასების 65%-ისა)</p> <p>გ) უცხო ენა; ინგლისური ენა;კომპეტენციის ზღვარი - არანაკლებ შეფასების 75%-ისა</p> <p>დ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი:</p>



	<p>ფიზიკა - კომპეტენციის ზღვარი - არანაკლებ შეფასების 50%-ისა ქიმია - კომპეტენციის ზღვარი - არანაკლებ შეფასების 55%-ისა მათემატიკა - კომპეტენციის ზღვარი - არანაკლებ შეფასების 50%-ისა</p> <p>სხვა აპლიკანტთა (უცხოეთში მიღებული განათლება) ჩარიცხვის უფლებას იძლევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სპეციალური ადმინისტრაციული აქტის მეშვეობით, ბრძანება #224/ნ2011 წ. 29 დეკემბერი.</p> <p>ეროვნული უმცირესობა</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>დიპლომამდელი სამედიცინო განათლება მომავალში წარმატებული სამედიცინო პრაქტიკის და, შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, ასევე განათლების სფეროს და, განსაკუთრებით, სამედიცინო განათლების მზარდი ინტერნაციონალიზაცია აუცილებელს ხდის სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საჭიროებას. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბაზისო (დიპლომამდელი) სამედიცინო განათლების და სამედიცინო პრაქტიკის ინტეგრაცია უზრუნველყოფს ნებისმიერი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალურ ფუნქციონირებას.</p> <p>პროგრამა მიზნად ისახავს სამედიცინო კადრების მომზადებას, რომელთა კომპეტენციაც შეესაბამება ეროვნულ დარგობრივმახასიათებელს მედიცინის დარგში. პროგრამის ფარგლებში მოხდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება თანამედროვე შრომის ბაზრისთვის, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობის გაუმჯობესებაში და ჯანდაცვის სისტემის სრულყოფაში.</p> <p>მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:</p> <ol style="list-style-type: none">1. აღზარდოს სამედიცინო განათლების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი დარგის სპეციალისტები, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი როგორც ადილობრივ, აგრეთვე საერთაშორისო თანამედროვე შრომის ბაზარზე.2. გამოუმუშავოს პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს წარმატებით განახორციელონ კლინიკურ საქმიანობა მუდმივად ცვლად არაპროგნოზირებად სამუშაო გარემოში.3. აღზარდოს პროფესიონალი, რომელიც პროფესიული მოვალეობის შესრულებისას იმოქმედებს ეთიკურ-სამართლებრივი პრინციპებზე დაყრდნობით, გამოავლენს ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას და



	<p>გაცნობიერებული ექნება სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პროფესიული და პროფესიული განვითარების აუცილებლობა.</p> <p>4. კურდამთავრებულმა შეძლოს პაციენტის და საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვის პროცესში ჩართვა, მათი საჭიროებების გამოვლენა და ადექვატური რეაგირება, ასევე ჯანდაცვის სისტემის და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, თუ ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის გაზრდასაკენ მიმართულ საქმიანობაში მონაწილეობა.</p> <p>5. გამოუმუშავოს სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზის და სამეცნიერო კვლევების დაგეგმვა -განხორციელების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი და აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის ეფექტურად მართვის შესაძლებლობები.</p> <p>6. ჩამოუყალიბოს პაციენტებთან, მათ ნათესავებთან, კოლეგებთან, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან ეფექტურ კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის უნარი და გამოუმუშავოს მენეჯერული და ლიდერული თვისებები.</p> <p>პროგრამა მიზნად ისახავს როგორც დარგისთვის სპეციფიკური, აგრეთვე ზოდად/ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას.</p>
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ ყველა სტუდენტი შეძლებს:</p> <p>1. გამოავლინოს ბიოსამედიცინო, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების, კლინიკური დისციპლინებისა და დარგის ფუნდამენტური, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა</p> <p>1.1 გამოავლინოს ბიოსამედიცინო მეცნიერებების ღრმა და სისტემური ცოდნა, აღწეროს და ახსნას სტრუქტურა და ფუნქცია - მოლეკულურ, უჯრედულ (გენეტიკურ), ქსოვილოვან, ორგანულ და ორგანოთა სისტემების დონეზე.</p> <p>1.2 გამოავლინოს პათოლოგიური და აღდგენითი პროცესების ცოდნა, თუ როგორ იწვევს დაავადებები ნორმალური სტრუქტურის და ფუნქციის ცვლილებებს და როგორ ხდება ამ ცვლილებათა უკუგანვითარება გამოჯანმრთელებისას და დააკავშიროს ეს ცოდნა</p>



	<p>კლინიკურ, ლაბორატორიულ, ინსტრუმენტული (მათ შორის ვიზუალიზაციის საშუალებებით) კვლევებით მიღებულ მონაცემებთან.</p> <p>1.3 გამოავლინოს ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა; ახსნას ინდივიდის ნორმალური ქცევა და მისი ცვლილებები სხვადასხვა სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. იმსჯელოს ჯანმრთელობის და დაავადებების ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებზე.</p> <p>1.4 გამოავლინოს კლინიკური დისციპლინების ცოდნა; მოახდინოს ბიო-სამედიცინო მეცნიერებების ცოდნის ინტეგრირება კლინიკურ მონაცემებთან - ძირითად (გავრცელებულ) დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის და განსაზღვროს დაავადებათა გამოვლინების თავისებურებები და პროგნოზი.</p> <p>1.5 გამოავლინოს დაავადებათა მართვის ცოდნა. ავადმყოფის მკურნალობის უნარი - სამკურნალოწამლო და სხვა საშუალებების (ფიზიოთერაპია, ფსიქოთერაპია და სხვ.) გამოყენებით. დასამართლებრივი პრინციპების მნიშვნელობა სამედიცინო პრაქტიკაში.</p> <p>1.6 გამოავლინოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის და ამ სისტემაში ექიმის როლის თაობაზე ცოდნა</p> <p>1.7 განმარტოს და ახსნას ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების მნიშვნელობა სამედიცინო პრაქტიკაში.</p>
<p>უნარები</p>	<p>2. გაუწიოს პაციენტს კონსულტაცია ;</p> <p>2.1 გამოავლინოს სრულყოფილი ანამნეზის შეკრების უნარი ყველა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებში</p> <p>2.2 განახორციელოს სრული ფიზიკური გამოკვლევა ყველა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებში</p> <p>2.3 მისცეს პაციენტს მისი მდგომარეობისთვის შესაბამისი რჩევები და განმარტებები.</p> <p>2.4 შეაფასოს პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსი</p> <p>2.5 იზრუნოს პაციენტზე და დაიცვას მისი უფლებები</p> <p>3. შეაფასოს კლინიკური შემთხვევა, დანიშნოს შესაბამისი გამოკვლევები, გაატაროს დიფერენციული დიაგნოზი და შეადგინოს პაციენტის მართვის გეგმა.</p> <p>3.1 დააკავშიროს ბაზისური ცოდნა კლინიკურ გამოვლინებებთან</p> <p>3.2 გააცნობიეროს და შეაფასოს დაავადების კლინიკური</p>



გამოვლინების სირთულე
3.3 დანიშნოს შესაბამისი გამოკვლევები და მოახდინოს მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია.
3.4 გაატაროს დიფერენციული დიაგნოზი
3.5 შეიმუშაოს და განიხილოს პაციენტებთან და მათ მომვლელებთან მწვავე თუ ქრონიკული დაავადებების მართვის გეგმა - იზრუნოს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე.

4. გაუწიოს პაციენტს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება

4.1 გაუწიოს ბაზისური პირველადი დახმარება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით
4.2 ამოიციოს და შეაფასოს გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობები
4.3 ჩაატაროს გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მართვა (მკურნალობა)
4.4 ჩაატაროს ბაზისური და სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური ღონისძიებები გაიდლაინების მიხედვით
4.5 ჩაატაროს სიცოცხლის შემანარჩუნებელი გაფართოებული ღონისძიებები გაიდლაინების მიხედვით
4.6 ჩაატაროს ტრავმების მართვა გაიდლაინების მიხედვით

5. დანიშნოს და გამოწეროს სამკურნალო საშუალებები

5.1 გამოწეროს წამლები გასაგებად და აკურატულად
5.2 დააკავშიროს მედიკამენტები კლინიკურ გამოვლინებებთან
5.3 განიხილოს მედიკამენტური და სხვა სამკურნალო ღონისძიებები და შეაფასოს პაციენტისთვის პოტენციური სარგებელი და რისკი
5.4 გაითვალისწინოს მედიკამენტების თავსებადობა კონკრეტულ პაციენტთან მკურნალობის დანიშვნისას.
5.5 მოახდინოს ტკივილის და დისტრესის მკურნალობა

6. შეასრულოს მედიცინის ცალკეულ დარგებში პირველადი საჭიროების პრაქტიკული სამედიცინო (დიაგნოსტიკური, სამკურნალო (მათ შორის, ქირურგიული) პროცედურა:

6.1 სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა: პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა;
6.2 წნევის გაზომვა;
6.3 სატურაციის განსაზღვრა;
6.4 ხელების დაბანა და ხელთათმანის ჩაცმა;



- 6.5 პერიფერიული ვენის ვენეპუნქცია;
- 6.6 პერიფერიულ ვენაში კათეტერის ჩადგმა;
- 6.7 სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება;
- 6.8 ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში;
- 6.9 ჟანგბადის მიწოდება;
- 6.10 პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა;
- 6.11 ნაკერის დადება;
- 6.12 ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება;
- 6.13 შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
- 6.14 შარდის ანალიზის გაკეთება;
- 6.15 ელექტროკარდიოგრამის გადაღება;
- 6.16 ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია;
- 6.17 სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება;
- 6.18 საინჰალაციო მედიკამენტების გამოყენება.

7. დაამყაროს წარმატებული სამედიცინო ხასიათის კომუნიკაცია

- 7.1 გამოავლინოს პაციენტებთან სა/ან მათი ოჯახის წევრებთან, ეფექტური ვერბალური, არვერბალური (მათ შორის წერითი) კომუნიკაციის უნარი, იმისთვის რომ შექმნას სანდო გარემო ურთიერთთანამშრომლობისთვის, განურჩევლად მათი სოციალური, კულტურული, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებისა.
- 7.2 გამოავლინოს კოლეგებთან, ჯანდაცვის სპეციალისტებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან თუ მასმედიასთან, ასევე გუნდში, ადეკვატური კომუნიკაციის უნარი, პროფესიულ მოვალეობისეფექტურად განხორციელებისათვის.
- 7.3 აწარმოოს სამედიცინო დოკუმენტაცია წერითი თუ ელექტრონული ფორმით, ზუსტად, სრულად, ორგანიზებული ფორმით, რეგულაციებისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

8. გამოიყენოს ეთიკის და სამართლებრივი პრინციპები სამედიცინოპრაქტიკაში

- 8.1 დაიცვას კონფიდენციალურობა
- 8.2 მიიღოს ინფორმირებული თანხმობა პაციენტისგან და გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი
- 8.3 გამოიყენოს საერთაშორისოდ აღიარებული ეთიკის პრინციპები და საქართველოს კანონმდებლობა მკურნალობის დროს
- 8.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ



შემთხვევებში მოითხოვოს აუტოფსია
8.5 გასცეს გარდაცვალების მოწმობა

9. შეაფასოს დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები.

9.1 დაადგინოს დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენა პაციენტზე

9.2 დაადგინოს დაავადებასთან დაკავშირებული სოციალური ფაქტორების გავლენა პაციენტზე

9.3 დაადგინოს დაავადებასთან დაკავშირებული სტრესი

9.4 დაადგინოს ალკოჰოლზე დაწამალზე დამოკიდებულება

10. გამოიყენოს მტკიცებულებებზე დამყარებული პრინციპების ცოდნა და უნარები

10.1 სწორად განსაზღვროს და ჩაატაროს ლიტერატურული კვლევა

10.2 კრიტიკულად შეაფასოს გამოქვეყნებული ლიტერატურა, გამოიტანოს დასკვნები და გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში.

10.3 გამოიყენოს მტკიცებულებები სამედიცინო პრაქტიკაში

11. ეფექტურად გამოიყენოს ინფორმაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები სამედიცინო საქმიანობაში

11.1 მოიძიოს სპეციფიკური საინფორმაციო რესურსები

11.2 ეფექტურად გამოიყენოს კომპიუტერი და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიები ინფორმაციის მოსაძიებლად და შესანახად

11.3 შეინახოს და შემდგომში გამოიყენოს პირადი ჩანაწერები

11.4 გამოიყენოს მოძიებული ინფორმაცია პაციენტზე ზრუნვისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის, აგრეთვე კვლევის და განათლების სფეროში

11.5 სწორად აწარმოოს და სრულად შეინახოს კლინიკური ჩანაწერები

12. გამოიყენოს ბიომედიცინის მეცნიერული პრინციპები, მეთოდები და ცოდნა სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევებში

12.1 იმსჯელოს და ახსნას სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდები

12.2 დეტალურად დაგეგმოს კვლევის დიზაინი, დაამუშავოს მიღებული შედეგები და მოახდინოს დასკვნების ფორმულირება

12.3 გამოიყენოს ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევები პრაქტიკულ საქმიანობაში.



	<p>12.4 დაწერონ რეფერატი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე</p> <p>12.5 გამოავლინოს ეთიკის პრინციპების ცოდნა სამეცნიერო კვლევის წარმართვის</p> <p>13. ჩაერთოს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებაში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში და მიიღოს მონაწილეობა მის ეფექტურ მუშაობაში.</p> <p>13.1 გაატაროს ღონისძიებები, რათა შეამციროს პაციენტისთვის ზიანისმიყენების რისკი მკურნალობის დროს</p> <p>13.2 მიიღოს ზომები ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების გასატარებლად</p> <p>13.3 იზრუნოს პაციენტის უსაფრთხოებაზე</p> <p>13.4 შეაფასოს საკუთარი ჯანმრთელობა და გააცნობიეროს მასთან დაკავშირებული პრობლემები პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით.</p> <p>13.5 მიიღოს მონაწილეობა ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.</p> <p>13.6 ხელი შეუწყოს ჯანდაცვის სფეროში ცვლილებების განხორციელებას მომსახურების გასაუმჯობესებლად.</p> <p>13.7 დანერგოს დაავადებებზე ზედამხედველობა მისი პრევენციის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით ინდივიდუალურ პაციენტებთან მიმართებაში.</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>14. გამოავლინოს პროფესინალისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები</p> <p>14.1 გამოავლინოს სამედიცინო პრაქტიკის ყველა ასპექტში შესაბამისი პროფესიული ქცევები და ურთიერთობები: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, თავმდაბლობა, პასუხისმგებლობა, თანაგრძნობა, პატივისცემა, ალტრუიზმი და განსხვავებულობის პატივისცემა.</p> <p>14.2 გააცნობიეროს ექიმის ძირითადი მოვალეობა, იზრუნოს თითოეული პაციენტის და საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე - ეთიკური პრინციპების დაცვით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>14.3 გაიაზროს საკუთარი შესაძლებლობების ზღვარი და ითხოვოს დახმარება.</p> <p>14.4 მოახდინოს რთულ კლინიკურ სიტუაციასთან ადაპტაცია და იმუშაოს პასუხისმგებლობით და საჭიროებისას დამოუკიდებლად.</p>



	<p>14.5 ამოიცნოს საკუთარ ცოდნასა და უნარებში არსებული ხარვეზები და გამოავლინოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის აუცილებლობის ვალდებულება და საკუთარი პერსონალური და პროფესიული განვითარების უწყვეტად გაუმჯობესების უნარი.</p> <p>14.6 იმუშაოს მულტიდისციპლინურ გუნდში, გამოავლინოს პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, დროის მართვის და სხვების ხელმძღვანელობის უნარი.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა და სტრუქტურა</p>	<p>მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების ეროვნული სტანდარტების გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით, თანამედროვე მატერიალური ბაზით და ფაკულტეტის მრავალწლიანი გამოცდილებით და ტრადიციების გათვალისწინებით.</p> <p>მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევისა და დიპლომირებული მედიკოსის კომპეტენციების ჩამოყალიბებისკენ. კურსების და ბლოკების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და განაპირობებს სწავლის შედეგების/კომპეტენციების მიღწევადობას და პროგრამის ეფექტიანობას.</p> <p>პროგრამის მიზნების განხორციელებისათვის და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებს კომპეტენციების დინამიკურ განვითარებას. კურიკულუმი დაყოფილია 3 პირობით, ერთმანეთთან დიალექტიკურად დაკავშირებულ ეტაპად, რომლის კომპონენტებიც აგებულია ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციის პრინციპების გათვალისწინებით.</p> <p>I - საბაზისო მეცნიერებების ეტაპი, რომელიც მოიცავს პირველ და მეორე კურსს. სადაც შეისწავლება ბაზისური, ბიოსამედიცინო მეცნიერებები - კლინიკური ასპექტების ინტეგრაციით.</p> <p>II- გარდამავალი (პრეკლინიკური) ეტაპი, სადაც პროპედევტიკული კლინიკური დისციპლინების შესწავლის პარალელურად მნიშვნელოვნად გაზრდილია პრაქტიკული კომპონენტი და კლინიკაში სწავლების წილი.</p> <p>III- კლინიკური მედიცინის (პრაქტიკის) ეტაპი, სადაც სწავლება მიმდინარეობს კლინიკებში, პრაქტიკულ გარემოში. საბაზისო</p>



მეცნიერებების ელემენტების ინტეგრაციით.

სამი ძირითადი ეტაპიდან თითოეულის დასრულების შემდეგ, საეტაპო („საკვალიფიკაციო“) გამოცდის ჩაბარება აუცილებელი პირობაა მომდევნო ეტაპზე გადასვლისათვის.

სწავლების პირველივე წლიდან პროგრამაში ერთვება დისციპლინები კვლევისუნარ-ჩვევები და კლინიკური უნარ-ჩვევები. თითოეული ესდისციპლინა 10-კრედიტიანია, ისწავლება სამივე ძირითად ეტაპზე და მისი მოდულების განაწილება ექვემდებარება პრინციპს - „მარტივიდან - რთულისკენ“, „შემეცნიებიდან - შეძლებისკენ“, „საბაზისო მედიცინიდან - კლინიკური მედიცინისკენ“.

კლინიკურ უნარებში პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება სხვადასხვა სახის სიმულატორებით აღჭურვილ კლინიკური უნარების ცენტრში, სადაც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ივარჯიშოს და გამოიმუშაოს პრაქტიკოსი ექიმისთვის აუცილებელი უნარები. კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება ფასდება OSPE, OSCE-ით ამას გარდა, სავალდებულო კლინიკური უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეული კლინიკური დისციპლინების ბლოკებშიც, ასე მაგალითად: შინაგანი მედიცინის ბლოკი, ქირურგიის ბლოკი, მეან-გინეკოლოგიის ბლოკი და ა.შ. კვლევითი უნარ-ჩვევების კურსები სტუდენტს შეასწავლის ლიტერატურის შერჩევის, ინფორმაციის მოძიების და გაანალიზების მეთოდებს, ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად დასკვნის გაკეთების უნარის განვითარებას. ამავე დისციპლინის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების სახეების, მეთოდოლოგიის, მეთოდისა და მეთოდების შესწავლა, ასევე, აკადემიური წერის უნარების განვითარება დაეხმარება სტუდენტს სამომავლო შესაძლო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში მუშაობისას, აგრეთვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებაში პროფესიული მუშაობისას; კვლევის ეთიკის ათვისება დაეხმარება სტუდენტს საავტორო უფლებების, პლაგიატის, სამეცნიერო ექსპერიმენტის ობიექტის შერჩევის, სფეროს სამართლებრივი ასპექტების ძირითადი პრინციპების სწორად გაცნობიერებაში.

კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება - ფასდება კვლევითი პროექტის პრეზენტაციით სწავლების ბოლო წელს. ეს საგნები, სპეციალობის არჩევით სასწავლო საგნებთან ერთად, რომლებიც



მზარდი ინტენსივობით განაწილებულია სამივე ძირითად ეტაპზე, მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამის ინტეგრაციას და ხელს უწყობს ცოდნის გენერალიზაციას, ამასთანავე, უზრუნველყოფს სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მისი პიროვნული და აკადემიური თავისუფლების გაძლიერებას, რაც ხელს შეუწყობს მის პროფესიულ განვითარებას შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების, თუ შემდგომი სწავლის და პროფესიული დახელოვნების თვალსაზრისით.

პროგრამა შედეგზეა ორიენტირებული. ის მოწოდებულია მომავალ ექიმს შეუქმნას აუცილებელი ფუნდამენტი, რათა პრაქტიკული საქმიანობის დროს წარმატებით გამოიყენოს სწავლისას შეძენილი ცოდნა, პრაქტიკული ჩვევები და კლინიკური აზროვნების უნარი და ღირებულებები.

პრევენციის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხები ჩართულია პირველივე კურსიდან და სპირალურად გრძელდება მთელი პროგრამის მანძილზე სხვადასხვა კლინიკურ კურსებში.

სამედიცინო ეთიკა და სამედიცინო სამართლის საკითხების შესწავლა ასევე იწყება პირველსავე წელს და სპირალურად გრძელდება სხვადასხვა კლინიკური კურსების შესწავლისას.

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მიზანია გაამდიდროს სტუდენტის ცოდნა მისთვის საინტერესო სფეროში (დისციპლინაში), ასეთი კურსების არჩევა შესაძლებელია განათლების როგორც საბაზისო, ისე გარგდამავალ და კლინიკურ ეტაპებზე. არჩევითი კურსები ლოგიკურადაა დაკავშირებული სავალდებულო სასწავლო კურსებთან (იხ. არჩევითი კურსების ჩამონათვალი და განაწილება სწავლების ეტაპების მიხედვით).

პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების ჯამი შეადგენს 28 კრედიტს. არჩევითი კურსების რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს სწავლების ბოლო წელს.

ბოლო სემესტრში სტუდენტს საშუალება ეძლევა აირჩიოს მისთვის საინტერესო სფერო და ამ მიმართულებით გაიაროს კლინიკური პრაქტიკა.

პირველი ორი წლის (4 სემესტრის მანძილზე) საბაზისო (1-ლი) ბლოკის გავლისას სტუდენტი იღებს კლინიკურად ორიენტირებულ საბაზისო განათლებას. კურიკულუმი იწყება სამედიცინო ქიმიისა და ფიზიკის სწავლებით, რასაც მოსდევს კლინიკური ანატომიის



შესავალი და ემბრიოლოგია და ჰისტოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის ზოგადი ნაწილები, რაც მედიცინის ფუნდამენტურ ნაწილს, საფუძველს წარმოადგენს.

შემდგომში პროგრამა ორიენტირებულია სისტემებზე მაგალითად, „ნერვული სისტემა“, „საჭმლის მომნელებელი სისტემა“, „სასუნთქი სისტემა“ და ა.შ. ამასთანავე, თითოეული სისტემა შეისწავლება კომპლექსურად, ანატომიის, ემბრიოლოგია-ჰისტოლოგიის, ფიზიოლოგიის და ბიოქიმიის პოზიციებიდან და მთავრდება ერთი (გაერთიანებული) გამოცდით.

თითოეული სისტემის სწავლებისას ხდება ისეთი კლინიკური შემთხვევების გარჩევა, რაც ხელს უწყობს საბაზისოდა კლინიკური დისციპლინების ინტეგრაციის პროცესს, ნათელს ხდის ბაზისური ცოდნის საჭიროებას კლინიკური პრაქტიკისათვის და ზრდის სტუდენტთა მოტივაციას. თითოეული სისტემის გავლისას კლინიცისტები ერთვებიან სწავლების პროცესში და ატარებენ მეცადინეობებს კონკრეტული კლინიკური საკითხის, პრობლემის ან შემთხვევის („ქეისის“) ირგვლივ. ასე, მაგალითად, „ღვიძლის ტრანსპლანტაცია“ და/ან „ვაგოტომია“ განიხილება „საჭმლის მომნელებელი სისტემის ფარგლებში“, „ტრეპანაციები“ – „ნერვული სისტემის“ ფარგლებში, ხოლო „ამპუტაციები“ - „საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის“ ფარგლებში.

მე-2 სასწავლო წლის (მე-4 სემესტრის) ბოლოს ჩატარდება საეტაპო გამოცდა, რაც მოიცავს ყველა გავლილი საბაზისო დისციპლინის კომპონენტებს. გამოცდა წერიტია. მოიცავს 200 ტესტს და 50 ღია კითხვას. მხოლოდ ამ გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მოიპოვებენ სტუდენტები შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

სწავლების **მესამე წელი** არის ე.წ. გარდამავალი პერიოდი, სადაც პათოლოგიური ცვლილებების, დაავადებათა გამოვლინებების, დიაგნოსტიკური მეთოდების და ფარმაკოლოგიის კომპლექსური შესწავლა მიმდინარეობს. ამ წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება კლინიკაში ყოფნის და, შესაბამისად, პაციენტებთან კონტაქტის წილი:

მეხუთე სემესტრი მოიცავს შესასწავლი დისციპლინების ზოგად ნაწილებს: „ზოგადი პათოლოგია“, „ზოგადი ფარმაკოლოგია“, „რადიოლოგიის შესავალი“ და „პაციენტის გამოკვლევის ძირითადი პრინციპები“. ამავე სემესტრში ისწავლება ზოგადი ქირურგიის კურსი.



მეექვსე სემესტრში სისტემების მიხედვით ხდება პათოლოგიური ცვლილებებისა და დაავადების სიმპტომების შესწავლა დიაგნოსტიკური (რადიოლოგიური თუ ლაბორატორიული) მეთოდების და საბაზისო ფარმაკოლოგიის შესწავლის პარალელურად. სწავლების ალგორითმი ასეთია: თითოეული სისტემის შესწავლა იწყება პათოლოგიით, გრძელდება ამავე სისტემის დაავადებათა პროპედევტიკული ნაწილით, რადიოლოგიით და სრულდება ფარმაკოლოგიით. ეს ხელს უწყობს სტუდენტის კლინიკური აზროვნების განვითარებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, რაც აისახება (უნდა აისახოს) ანამნეზის შეკრების და ფიზიკური გამოკვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემების ანალიზის, ჩატარებული გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაციის და კლინიკური დასკვნის გაკეთების უნარების განვითარებაში.

მეექვსე სემესტრში ჩართულია ორი კრედიტის მოცულობის კლინიკური აზროვნების საფუძვლების დამოუკიდებელი კურსი. მის სწავლებაში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას უზრუნველყოფს სწავლების CBCR-(შემთხვევის განხილვზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება) მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს ტარდება საექთნო გამოცდა, რაც თეორიული ნაწილის გარდა მოიცავს ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას (OSCE). მხოლოდ ამ გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მოიპოვებენ სტუდენტები შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელების უფლებას. მესამე, კლინიკური ეტაპი მოიცავს ყველა იმ დისციპლინას, რომლის შესწავლაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების რეალიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, კურსდამთავრებულთა მიერ ცოდნისა და გაცნობიერების, კომპეტენციების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში როლის და ადგილის გაცნობიერების იმ ხარისხის მიღწევას, რაც პროგრამის შედეგებით არის გათვალისწინებული და შეესაბამება ეროვნული სტანდარტის მოთხოვნებს.

კლინიკური დისციპლინების სწავლება მოწოდებულია განუვითაროს სტუდენტს ისეთი უნარები, როგორცაა: პაციენტთან ან პაციენტზე პასუხისმგებელ პირთან კომუნიკაცია, სრულყოფილი ფიზიკური გასინჯვა, საჭიროა მოკვლევების დაგეგმვა, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების ინტერპრეტაცია, დიფერენციული დიაგნოსტიკის წარმოება და



დიაგნოზის დასმა, ასევე პაციენტის მკურნალობის სქემის შემუშავება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების საფუძველზე.

სწავლების მეოთხე წელი კლინიკური დისციპლინების აქტიური სწავლების და შესაბამისი პრაქტიკის პერიოდია, რომელიც ძირითადად შედგება მსხვილი კლინიკური ბლოკებისგან. მეშვიდე სემესტრი ეთმობა „საზოგადოებრივი ჯანდაცვას“, სადაც ფუნდამენტურად შეისწავლება ჯანდაცვის სისტემა, საქართველოს კანონმდებლობა ამ სფეროში, პაციენტის უსაფრთხოების საკითხები.. ამავე სემესტრში ისწავლება „შინაგან დაავადებათა ბლოკი -1“, რომელიც მოიცავს კარდიოლოგიას, პულმონოლოგიას და გასტროენტეროლოგიას (სულ 11 კრედიტის ოდენობით), ქირურგია-ზოგადი ნაწილი..

მე-8 სემესტრი ეთმობა „შინაგან დაავადებათა ბლოკი -2“-ს, რომელიც მოიცავს ნეფროლოგიას, რევმატოლოგიას, ენდოკრინოლოგიას და ჰემატოლოგია /ტრასფუზიოლოგიას. ამავე სემესტრში ისწავლება „ინფექციური დაავადებების და კლინიკური იმუნოლოგიის ბლოკი“, რომელიც მოიცავს როგორც ინფექციური დაავადებებს, მათ შორის შიდსს და ტუბერკულოზს, ასევე კლინიკურ იმუნოლოგიას და ალერგოლოგიას.

აქვე ისწავლება კლინიკური ფარმაკოლოგია.

მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე და მეხუთე კურსები (მე-7 - მე-10 სემესტრები) ძირითადად ეთმობა კლინიკურ დისციპლინებს, ცალკე კურსის სახით ისწავლება კლინიკური უნარები-4, რომლის მეცადინეობებიც სიმულაციურ ცენტრში მიმდინარეობს და პროცედურულ უნარებში სტუდენტების უკეთ დახელოვნებას და კლინიკაში მუშაობისთვის მათ მომზადებას ემსახურება.

მეხუთე კურსის მეცხრე სემესტრი მოიცავს „მეანობა-გინეკოლოგიის-რეპროდუქტოლოგიის“, „პედიატრიის და ბავშვთა ქირურგიის“ და „ონკოლოგიის (პალიატიური მზრუნველობით)“ ბლოკებს; ამავე სემესტრში ისწავლება „ლაბორატორიული მედიცინა“ და „კვლევის უნარები-4“.

მეათე სემესტრი ეთმობა „ნევროლოგიის“, „გერიატრიის“, „ქირურგია-2“ -ის და დიფერენციულ დიაგნოსტიკას შინაგან მედიცინაში სწავლებას.

კლინიკური კურსების შესაფასებლად გამოიყენება „პორთფოლიო“, Osce, MiniCex გამოცდები, აგრეთვე კლინიკური შემთხვევის განხილვები.

სწავლების ბოლო წელი მოიცავს „საოჯახო მედიცინას“,



დიფერენციულ დიაგნოსტიკას შინაგან ქირურგიაში, აგრეთვე, „დერმატო-ვენეროლოგიას“, „ოფთალმოლოგიას“, „ოტო-რინო-ლარინგოლოგიას“, „გადაუდებელი მედიცინის ბლოკს“, „რეაბილიტაციას“, „სასამართლო მედიცინას“ და „ფსიქიატრიას“. მეექვსე კურსზე მაქსიმუმს აღწევს არჩევითი საგნების კურსების მოცულობა (12კრედიტი). ბოლო სემესტრი წარმოდგენილია კლინიკური პრაქტიკის არჩევითი კურსების ბლოკის სახით (თითოეული დისციპლინის მოცულობა შეადგენს 4 კრედიტს. (იხ. ცხრილი). სტუდენტს შეუძლია თავისთვის სასურველი 2 კურსის არჩევა. მისთვის საინტერესო მიმართულებით და გაიღრმავოს შესაბამისი კლინიკური უნარები

კლინიკური პრაქტიკის არჩევითი ბლოკი- თითოეული 4კრ

1. შინაგანი მედიცინა
2. ქირურგია
3. მეანობა
4. პედიატრია
5. საოჯახო მედიცინა
6. ფსიქიატრია
7. გინეკოლოგია
8. კლინიკური რადიოლოგია
9. ინფექციური დაავადებები

საბოლოო ჯამში, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევასა და ექიმის კომპეტენციების განვითარებას. სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები და სწავლების თანმიმდევრობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურით და სილაბუსებით და ასახულია ე.წ. მუდმივ ცხრილში

ბოლო წელს ხდება ყველა სწავლის შედეგის შეფასება, რაც მოიცავს ტესტურ, OSCE ,Mini Cex გამოცდას, კლინიკური დღიური - პორთფოლიოს შეფასებას და აგრეთვე სამეცნიერო პროექტის დაცვას (რაც „კვლევითი უნარ-ჩვევების“ კურსის დასკვნითი ნაწილია - იხ. ზემოთ). სამეცნიერო კვლევითი პროექტი სტუდენტმა უნდა დაიცვას ბოლო სემესტრში - სწავლის დასასრულს, სტუდენტმა აბარებს ტესტურ გამოცდას, რომელიც მოიცავს კითხვებს(კლინიკურ შემთხვევებს) სხვადასხვა კლინიკური დისციპლინებიდან. აგრეთვე აბარებს 16 სადგურიან OSCE- ს გამოცდას. კომისიის მიერ ხდება პორთფოლიოს შეფასება.



	<p>ყველა ჩამოთვლილის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის ხარისხი.</p>
<p>სწავლების მეთოდები</p>	<p>ლექცია. ლექცია არის პროგრამის მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი. ის უზრუნველყოფს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე; მიზნად ისახავს დიდი სურათის წარმოდგენას, პრობლემური საკითხების გამოკვეთას და გადაწყვეტას; ლექციები ასევე გამოიყენება გარკვეული მასალის შესაჯამებლად, რათა სახელმძღვანელოებში მოწოდებული ინფორმაცია უფრო ეფექტურად იქნას შესწავლილი. ლექციები უმეტესად არის ინტერაქტიული.</p> <p>სემინარი. სემინარზე ხორციელდება შემდეგი აქტივობები: ზეპირი გამოკითხვა, დისკუსია, დემონსტრირება, გათამაშება როლების გადანაწილებით; სემინარის ნაწილია ქვიზი, პრეზენტაცია, რეფერატი. სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების საშუალება. აკადემიური პერსონალი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.</p> <p>E - სწავლა სტუდენტს აქვს საშუალება ბიბლიოთეკაში მოიძიოს ელექტრონული რესურსი თვითსწავლისთვის, კლინიკურ უნარებში ვარჯიშისთვის, პრეზენტაციის, სამეცნიერო პროექტის მომზადებისათვის, ა.შ. პედაგოგების მიერ ხდება ელექტრონულ ბაზაში (moodle სისტემაში) პრეზენტაციების, სახელმძღვანელოების და სხვა დამატები ინფორმაციის, თუ დავალებების ატვირთვა. მედიცინის ფაკულტეტი შეუერთდა Lecturio -ს ონლაინ აკადემიას, რომელიც წარმოადგენს სასწავლო პლატფორმას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მოიმინონ მსოფლიოს სხვადასხვა დარგის ცნობილი პროფესორის მიერ წაკითხული ლექციები როგორც საბაზისო, ასევე კლინიკურ საგნებში. პროგრამაში თავმოყრილია 50000-მდე ვიდეო. თითოეულ მიმართულებას გააჩნია მდიდარი და მრავალფეროვანი კითხვების ბანკი (Q-Bank), რაც ცოდნის შემოწმების შესაძლებლობასაც იძლევა სპეციალურად შეთავაზებული კითხვარების/ქვიზების მეშვეობით. Lecturio განაპირობებს საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების</p>



შესაბამისი ცოდნის მიღების შესაძლებლობას. პროგრამაზე წვდომა აქვთ ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალსაც. პროგრამა მსოფლიოს მამტაბით აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო გამოცდებისთვის მოსამზადებლად

გუნდური მუშაობა (Team work)

სტუდენტი მუშაობს ჯგუფში, სადაც გამოუმუშავდება ერთმანეთის მოსმენის და აზრის პატივისცემის უნარი. ეჩვევა ჯგუფში დებატებს, პასუხისმგებლობის გაზიარებას როგორც ჯგუფური მუშაობის პროცესზე, ისე შედეგებზე, თვალსაზრისების შეთანხმებას და ინვითარებს სხვა ინტერპერსონალურ უნარებს. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. ის ხელს უწყობს ასევე მენეჯერული და ლიდერული უნარების განვითარებას.

გათამაშება როლების გადანაწილებით სემინარებზე სტუდენტის მიერ ხდება პაციენტის და ექიმის როლის შესრულება ლექტორის უშუალო ზედამხედველობით. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრაქტიკული/კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დემონსტრაციას. სტუდენტი ავლენს კომუნიკაციის, ანამნეზის შეკრების თუ ფიზიკური გამოკვლევის უნარს. პაციენტის როლის შესრულებისას კი სტუდენტი ახდენს კონკრეტული დაავადების სიმულირებას, რაც ეხმარება მას კლინიკური სიმპტომების უკეთ გააზრებასა და დასწავლაში.

პრეზენტაცია

პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსების თუ მოდულების გავლის დროს, სტუდენტი აკეთებს პრეზენტაციებს. ზოგი პრეზენტაცია არის ზეპირი, ზოგი პოსტერული, ზოგი ინდივიდური ან ჯგუფური. როგორც წესი პრეზენტაციას აქვს დემონსტრირების, მოხსენების ფორმა და მიზნად ისახავს აუდიტორიის ინფორმირებას და დარწმუნებას. პრეზენტაციის მომზადებისას სტუდენტს უწევს ინფორმაციის მოძიება, ანალიზი. პრეზენტაცია მოიცავს დისკუსიას აუდიტორიასთან. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს კომუნიკაციური, ანალიზის და სინთეზის, ინფორმაციის მართვის უნარების განვითარებას.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)

გულისხმობს ისეთი სიტუაციური ამოცანების განხილვა-გადაწყვეტას, რომლებიც შეიძლება საჭიროებდეს დამატებითი ინფორმაციის მოძიებას სტუდენტის მიერ. სტუდენტების ჯგუფს წარედგინება კლინიკური პრობლემა (შემთხვევა), რომელსაც ისინი ჯგუფურად, ლექტორისგან დამოუკიდებლად გააანალიზებენ, დასახავენ



მისი გადაჭრის გზებს (ამოცანებს), მოიძიებენ საჭირო ინფორმაციას და გამოიტანენ დასკვნებს. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების (ანალიზისა და სინთეზის უნარის), ჯგუფური მუშაობის და დამოუკიდებლად სწავლის, ასევე კვლევის უნარის განვითარებას, კლინიკური განსჯის და გადაწყვეტილების მიღების, სამედიცინო დისკუსიებში მონაწილეობის, სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაციის (კოლეგებთან კომუნიკაცია) უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც მნიშვნელოვანია პროფესიონალად ჩამოყალიბების პროცესისათვის.

კლინიკურ შემთხვევაზე („ქეისზე“) დაფუძნებული სწავლა (CBL)

წარმოადგენს სწავლების აქტიურ მეთოდს, რომლის დროსაც სტუდენტი განიხილავს რეალურ გამოცდილებაზე დაფუძნებულ კლინიკურ შემთხვევებს („ქეისებს“). სტუდენტურ ჯგუფს ქეისის წარდგენამდე მიეწოდება თეორიული მასალა, რაც მათ ეხმარება ქეისისთვის მომზადებაში. ქეისის განხილვისას მცირე ჯგუფებად დაყოფილ სტუდენტებს ეძლევათ თემატური დავალება. ლექტორის ხელმძღვანელობით და დახმარებით სტუდენტები განიხილავენ „ქეისს“, ხდება მსჯელობა და განხილვა, რის შემდეგაც მოხდება საკითხის თაობაზე უკვე არსებული ცოდნის შეჯამება და გამოვლინდება ახალი საკითხები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია „ქეისის“ „ამოსახსნელად“. აღნიშნული მეთოდი ავითარებს ანალიტიკური და კლინიკური აზროვნების, ასევე, გუნდური მუშაობის უნარს. მისი გამოყენება იწყება სწავლების პირველი წლიდან და ხელს უწყობს ბაზისური და კლინიკური დისციპლინების ინტეგრაციის პროცესს.

მესამე კურსზე სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ საგანი „კლინიკური აზროვნების საფუძვლები“, რომლის სწავლებისთვის გამოიყენება **„ქეისებზე“ დაფუძნებული კლინიკური მსჯელობის (CBCR)** მეთოდი. ის დამოუკიდებელი სასწავლო კურსია და არ არის ინტეგრირებული სხვა კურსებთან. მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტი მიეჩვიოს კლინიკურ მსჯელობაზე ორიენტირებულ, პრობლემაზე დაფუძნებულ აზროვნებას და აითვისოს მისი მოდელი. CBCR-ი ასწავლის სტუდენტს გამოიყენოს წარსულში მიღებული თეორიული ცოდნა პაციენტის პრობლემების გადაჭრის მიზნით, ისევე, როგორც ეს ხდება რეალურ კლინიკურ პრაქტიკაში.

- კოლაბორაციული და ინტერაქციული სწავლების მეთოდია, **Flipped Classroom** (შებრუნებული საკლასო ოთახი), სადაც სტუდენტი აქტიურ მონაწილეობას იღებს ახალი სასწავლო მასალის ათვისებაში. სადაც ტრადიციული სასწავლო გარემოსგან განსხვავებით სტუდენტებს ახალი სასწავლო მასალა (ლიტერატურის მითითებით ან ვიდეო-ლექციების



სახით) ეძლევა დასამუშავებლად წინასწარ აუდიტორიაში შეხვედრამდე. აუდიტორიული შეხვედრები კი შესაბამის თემაზე დისკუსიისათვის გამოიყენება. სტუდენტი პასუხისმგებლობას იღებს საკუთარი ცოდნის ფორმირებაზე; ეს მეთოდი ზრდის სტუდენტების მოტივაციას, ავითარებს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს (directed -self learning ჯგუფში მუშაობის უნარს, ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას და კრიტიკულ აზროვნებას;

„პორტფოლიოზე“ დაფუძნებული სწავლა

პირველი კურსიდან სტუდენტი ავსებს დავალებების დღიურს, რომელშიც წერენ ინფორმაციებს სხვადასხვა ჩატარებული ქმედებების შესახებ (ანატომიური პრეპარაცია, ექსპერიმენტულ ცხოველებზე ან მულაჟებზე ჩატარებული მანიპულაციები, ჰისტოლოგიური პრეპარატების გამოკვლევა, სასექციოში გვამის გაკვეთა ან მასალის ამოჭრა და ა.შ.), პაციენტის შესახებ, რომლის გამოკვლევასა და მოვლაში იყვნენ ჩართულები, ასევე განხილულ ეთიკურ და საკანონმდებლო საკითხებს; აღნიშნავენ უნარებს, რომლებშიც დახელოვნდნენ; ამგვარად, დღიურში გროვდება სხვადასხვა კლინიკურ დაწესებულებებში ნანახი შემთხვევები და განვითარებული უნარები, დაგროვილი გამოცდილება. სტუდენტი განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ინფორმაციას აგროვებს კლინიკური საგნების გავლისას. პორტფოლიოს ნაწილია სტუდენტის პირადი სასწავლო გეგმებიც; სტუდენტს აქვს საშუალება მოახდინოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და დასახოს მათი გამოსწორების გზები. პორტფოლიო მოიცავს პედაგოგის რეკომენდაციებს და შეფასებებს, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტის განვითარებისთვის.

კლინიკურ გარემოში სწავლება

კლინიკურ გარემოში სწავლება გულისხმობს კლინიკურ პრაქტიკაზე დაკვირვებას და პაციენტის საწოლთან სწავლებას. კლინიკურ პრაქტიკაზე დაკვირვებასას სტუდენტი სწავლობს კლინიცისტების და პაციენტების ურთიერთობაზე დაკვირვებით, ის რჩება კლინიკაში ხანგრძლივად ან მორიგეობს ღამით.

პაციენტის საწოლთან სწავლება წარმოადგენს ინტერაქციულ მეთოდს, რომელიც ტარდება კლინიკაში, უშუალოდ პაციენტის საწოლთან. სტუდენტების მცირე ჯგუფი კლინიკაში პაციენტის თანხმობით ესწრებიან მათი გამოკვლევის პროცესს, რომელსაც ახორციელებს ექიმი და იღებენ მონაწილეობას ამ პროცესში. ასრულებენ კლინიკურ დავალებებს



	<p>პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ. საწოლთან სწავლების მეთოდი ავითარებს ისეთ მნიშვნელოვან უნარებს და ღირებულებებს, როგორცაა: ანამნეზის შეკრება, კომუნიკაციური უნარები, კლინიკური აზროვნება, ჰუმანიზმი, პროფესიონალიზმი ექიმის როლის და სოციალური პასუხისმგებლობის გათავისება.</p> <p>კლინიკურ გარემოში სწავლება უნდა აისახოს პორტფელიოში</p> <p>კლინიკური/ლაბორატორიული მუშაობა</p> <p>კლინიკური/ლაბორატორიული მუშაობის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების კლინიკურ-პრაქტიკული უნარების განვითარება - მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების ხელშეწყობის მიზნით. ამ დროს სტუდენტი იღებს სამუშაო გარემოში ჩართვის და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების გამოცდილებას;</p> <p>კვლევითი პროექტის შესრულება</p> <p>კვლევითი პროექტის შესრულების მიზნით სტუდენტი ინდივიდუალურად მუშაობს ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ. პროექტის ფარგლებში სტუდენტი სწავლობს სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება-დამუშავებას, კვლევის ჰიპოთეზის (კვლევის პრობლემის) ჩამოყალიბებას, მიზნებისა და ამოცანების დასახვას, კვლევის დაგეგმვას, ჩატარებას და შედეგების გაანალიზებას, დასკვნების გამოტანას. მეთოდი ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების (ანალიზისა და სინთეზის უნარის), პროფესიული ეთიკის დაცვის, დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებას, ასევე, სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და კოლეგებთან კომუნიკაციას.</p> <p>კლინიკური უნარების ტრენინგი</p> <p>კლინიკური უნარების შესწავლა იწყება პროგრამის პირველივე წლიდან საბაზისო დისციპლინების შესწავლის პარალელურად და გრძელდება კლინიკური პრაქტიკის წლებში. სტუდენტი სწავლობს კლინიკური უნარების ცენტრში (ლაბორატორიებში), სადაც გამოიმუშავებს სხვადასხვა კლინიკურ უნარებს უსაფრთხო გარემოში, მოდელებსა და მანეკენებზე.</p>
შეფასების წესი და მეთოდები	<p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით</p>



დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შეფასების მეთოდები

ზეპირი გამოცდა - რამოდენიმე გამომცდელის მიერ ხდება სტუდენტის გამოკითხვა, კონკრეტული პრობლემის განსჯა და მისი გადაჭრის გზების დასახვა. გამოიყენება ცოდნა- გაცნობიერების და ზოგადი ტრანსფერული უნარების შესაფასებლად. როგორც წესი, ზეპირი გამოცდა გამოიყენება გამოცდის სხვა ფორმებთან ერთად, როგორც შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი.

მრავალპასუხიანი კითხვები (MCQ), სადაც მოკლე კითხვასა და დებულებაზე საპასუხოდ სტუდენტი ირჩევს ერთ საუკეთესო პასუხს - შესაძლო პასუხების მოცემული ჩამონათვალიდან. კითხვების მნიშვნელოვანი ნაწილი დასმულია კლინიკური სცენარის ფორმატში. გამოიყენება ცოდნა- გაცნობიერების შესაფასებლად.

ქვიზი/კომბინირებული ტესტი. კითხვარი საშუალებას იძლევა მოკლე დროში შემოწმდეს მნიშვნელოვანი მოცულობის მასალის ცოდნის დონე.

მინი-კლინიკური გამოცდა (Mini Cex) გამოიყენება კლინიკური კურსების გავლისას. უშუალოდ კლინიკურ გარემოში ხდება დაკვირვება თუ როგორ ახდენს სტუდენტი რეალური თუ სტანდარტიზებული პაციენტის გამოკვლევას, დიაგნოზის დასმას და მართვის გეგმის შედგენას.

ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა(OSPE) - რომელიც გამოიყენება პროცედურული უნარების შესამოწმებლად, ძირითადად პირველ და მეორე კურსზე.

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE).

სტუდენტი ასრულებს ამოცანების სტრუქტურირებული ჩამონათვალის მიხედვით დავალებებს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკულ



პროცედურებს, ინტერვიურებს ან მონაცემთა ინტერპრეტაციას. მისი საშუალებით შესაძლებელია ერთროულად შეფასდეს კლინიკური კომპეტენციების მთელი სპექტრი: ავადმყოფობის ისტორიის შეკრების ჩვევები, პაციენტის გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდის ფლობა, კომუნიკაციის უნარები, პროფესიონალიზმი, მანუალური ჩვევები, კლინიკური აზროვნება, მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის უნარი, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება და დაავადებათა მართვა.

კლინიკური შემთხვევები. სტუდენტს ეძლევა კონკრეტული კლინიკური შემთხვევები, სადაც ის ახდენს პაციენტის მონაცემთა ინტერპრეტაციას, კლინიკურ, ლაბორატორიულ და სხვადასხვა კვლევებიდან მიღებულ მონაცემებს შეფასებას. ასევე ადგენს მკურნალობის და მართვის გეგმას. საშუალებას იძლევა შემოწმდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიების უნარი.

პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება (DOPS). ამ დროს ხდება სტუდენტზე დაკვირვება თუ როგორ ასრულებს ცალკეულ პროცედურებს კომპეტენტურობის დასამტკიცებლად (მაგ: წნევის გაზომვა, ეკგ -ს გადაღება ა. შ.). ზედამხედველი წინასწარ შედგენილი შეფასების ფურცლების საფუძველზე ანიჭებს სტუდენტს შესრულებული სამუშაოსთვის შესაბამის ქულას.

პორტფოლიოთი შეფასება. სტუდენტი აგროვებს მტკიცებულებათა ნაკრებს, რომელიც აჩვენებს სტუდენტთა უნარს მიღებული გამოცდილების, მათ პირადი პერსონალური განვითარებისთვის და სწავლისთვის როგორ გასცენ და მიიღონ კონსტრუქციული კრიტიკა. გამოიყენება კლინიკური, კომუნიკაციური და პროფესიული უნარების შესაფასებლად.

სტუდენტთა ქცევის შესაფასებლად გამოიყენება რუბრიკები, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტის პროფესიული ქცევის შეფასება. მე-2-3 კურსზე შეფასების კრიტერიუმები მარტივია, ხოლო მე-4-6 კურსის ჩათვლით უფრო ვრცელი და ყოვლისმომცველია, მოიცავს სტუდენტის პროფესიონალური ქცევის შეფასების ყველა კომპონენტს, რაც გულისხმობს პასუხიმგებლობას, ვადების დაცვას, თვითგანვითარების უნარებს, კომუნიკაციურ უნარებს და .შ.

in a far more applied, in depth, minimum of eight answer options to a [ratio](#) of five [scenarios](#) or [vignettes](#) to ensure that the probability of getting the correct answer by chance remains reasonably low.¹¹ The exact number of answer



<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ⌋ გააგრძელოს პრაქტიკული მოღვაწეობა – უმცროს ექიმად (უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (კანონი `საექიმო საქმიანობის შესახებ`, მე-5 მუხლი); ⌋ ჩაერთოს პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობაში ⌋ გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება); ⌋ გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში (დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი, როგორც მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი, უფლებას იძლევა დოქტორანტურაში ჩაბარების (კანონი `უმაღლესი განათლების შესახებ`, 48-ე მუხლი) <p>უმაღლესი სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულს (დიპლომირებულ მედიკოსს), მოქმედი კანონმდებლობით, არა აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.</p>
<p>სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის</p>	<ul style="list-style-type: none"> ⌋ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შედეგად ჩარიცხული სტუდენტებისთვის სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს
<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>პროგრამის განხორციელებაში ჩართულია როგორც უნივერსიტეტის, ასევე მედიცინის ფაკულტეტის 25 კათედრა, 119 აკადემიური, 96 მოწვეული და პერსონალი. სულ - 215.</p> <p>აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა არის 1/0.8 , რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მოწვეულ პედაგოგთა უმეტესობა უკვე წლებია თანამშრომლობს თსუ-თან.</p> <p>პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნების განხორციელებასთან.</p> <p>პროგრამას ემსახურება ფაკულტეტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი რომელთაც გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება.</p> <p>პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 948-ს, თანაფარდობა პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის შეადგენს 1/4-ზე.</p>



	<p>პროგრამის ეფექტურად წარმართვის საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. რაც მოიცავს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებს,აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახებს; სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრების ოთახებს; საკონფერენციო აუდიტორიებს;კომპიუტერული რესურს-ცენტრს, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრს, სპეციალურად მომზადებული ოთახებს OSCE -ს ეფექტიანად განხორციელებისთვის, შესაბამისი მიკროსკოპებითა და ლაბორატორიული მოწყობილობით აღჭურვილი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებს.</p> <p>ფუნდამენტური დისციპლინების სწავლება ხორციელდება უნივერსიტეტის ბაზებზე, მათ შორის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში, ხოლო კლინიკური, პროფილაქტიკური და ეპიდემიოლოგიური დისციპლინების სწავლება კი - უნივერსიტეტთან აფილირებულ ორმოცდაათზე მეტ ჰოსპიტალში და სამეცნიერო-კლინიკურ-პრაქტიკულ ცენტრებში.</p> <p>განისაზღვრება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. (საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მატერიალური რესურსი, მაგ: ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ)</p>
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	